კრიტიკული თეორია და მშვიდობის პოლიტიკა

Jabri, V., & Richmond, O. P. (2021). Critical Theory and the Politics of Peace. In *The Oxford Handbook of Peacebuilding, Statebuilding, and Peace Formation* (pp. 91-106). Oxford University Press

თარგმანი გიორგი ჩუბინიძის

ამ თავში აღწერილია მშვიდობის, მშვიდობის მშენებლობისა და სახელმწიფოს მშენებლობის მიმართება კრიტიკულ თეორიასთან და ის, თუ რას გვეუბნება ეს მშვიდობის ფორმირებაზე [formation], როგორც უფრო კონტექსტურად მგრძნობიარე საჯარო პოლიტიკაზე ორიენტირებულ პრაქტიკაზე. ჩვენ ვამბობთ, რომ მას შემდეგ, რაც მიტრანი ([1943] 1975) პირველად დაუპირისპირდა ერთა ლიგის საფუძველმდებარე აზროვნებას, რათა ეპასუხა 1940-იანი წლების „ახალი მსოფლიოს“ გამოწვევებისთვის — კრიტიკულმა თეორიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მშვიდობისა და სახელმწიფოს მშენებლობის 1990-იანი წლების საჯარო პოლიტიკაზე ორიენტირებული პრაქტიკის გადასინჯვასა და ემანსიპატორული პლატფორმების შექმნაში. ეს შეიძლება დავინახოთ ქვევიდან წამოსულ მშვიდობის ფორმაციის პრაქტიკაში, რომელიც მხედველობაში იღებს ძალაუფლების პოსტკოლონიურ გაგებას (Richmond 2016).

როგორც მშვიდობის შენარჩუნებისა და მშვიდობის მშენებლობისთვის ინტერვენციების ისტორიამ და მისმა ევოლუციამ აჩვენა და ასევე ინსტრუმენტთა სპექტრის გაფართოებამ, ეს პროცესი არაერთმნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მოიცავდა რა დეკოლონიზაციას, პროქსი ომებს, პოსტსაბჭოთა ომებსა და კაპიტალის დაგროვებისა თუ იდენტობის ომებს — რაც უფრო გააფართოვა მშვიდობის პრაქტიკამ თავისი ემანსიპატორული დისკურსი სხვადასხვა ტიპის ომების შესაბამისად, პრაქტიკაში მან მით უფრო დაკარგა დამაჯერებლობა და ლეგიტიმურობა — განსაკუთრებით 11 სექტემბრის შემდგომ სახელმწიფოს მშენებლობის ეპოქაში. რაც უფრო დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, არა მხოლოდ ავტორიტარული ძალების, არამედ გაეროს უსაფრთხოების საბჭოს სხვა წევრებისა და დონორული სისტემისგან, მით უფრო პრობლემური გახდა მშვიდობის საერთაშორისო ჩარჩები. თავი რომ დავანებოთ გენერალური ასამბლეის წევრების მიერ მშვიდობის სათავისოდ გამოყენებას, რომლებიც, ამავდროულად, დეკლარირებულად თავზე იღებენ ლიდერობას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ადამიანის უფლებები (მხედველობაში გვაქვს 2000-იან წლებში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში შრი ლანკის როლი). დასავლური საერთაშორისო საზოგადოების „ნორმების კასკადისა“ (Finnemore and Sikkink 1998) და ევროკავშირის „ნორმატიული ძალის“ კონტექსტშიც კი, ვაწყდებოდით ერთგვარ ზედაპირულობას, რომ აღარაფერი ვთქვათ რეგრესზე, იმ მეთოდებში, რომლითაც უსაფრთხოება და განვითარება მშვიდობასთან იყო დაკავშირებული,

მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით, დაცილებული მშვიდობის დივიდენდისგან, ეს მაშინ როცა მიმდინარეობდა კონსტიტუციური და რეგიონული წესრიგის მშენებლობა და ჯამში — საერთაშორისო სისტემის ფორმირება (Rawls 1993; Manners 2002).

ბოლო 30 წლის განმავლობაში თეორიის განვითარება და მისი პრაქტიკის ისტორია მშვიდობის მშენებლობისა და სახელმწიფოს მშენებლობის ემანსიპატორულ განზრახვაზე ეჭვს ბადებს. დასავლური, ლიბერალური რაციონალობა შეუსაბამო აღმოჩნდა ან მიტაცებული ძალაუფლებრივი ინტერესებისა და იდეოლოგიების მიერ, ძალიან ცოტა ხელშესახები ქმედებით, გარდა შედარებით დახვეწილი მსჯელობისა „მშვიდობის შენარჩუნებაზე“ (UN Secretary-General 2018) ან „ფემინისტურ საგარეო პოლიტიკაზე“, რომელიც ხშირად კონსერვატიულ და ევროცენტრულ შეხედულებებს იმეორებს (იხ. მაგ. Aggestam and Bergman-Rosamond 2016; Robinson 2019). შეიძლება ითქვას, რომ ეს მიანიშნებს მშვიდობის ცნების ჰეგემონიურ მითვისებაზე, განსაკუთრებით, როცა არ ხდება უფრო რადიკალური გადააზრება იმ ურთიერთობისა, რომელიც მშვიდობის მშენებლობას, როგორც ემანსიპატორულ პრაქტიკას სუბალტერნულ პოზიციებსა და მშვიდობის დამყარებასთან სახელმწიფოსა და საერთაშორისო სისტემის ურთიერთობასთან აკავშირებს (საპირისპიროდ დასავლეთის ჰეგემონიური ინტერესებისა და პრეფერენციებისა). გლობალურ და ლოკალურ პოლიტიკურ ომებსა და ძალადობაზე დისკურსული რეაგირება უგულებელყოფს მშვიდობის სტრუქტურულ ასპექტებს.

შესაბამისად, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მშვიდობის მშენებლობა ვერ დარჩება ლეგიტიმურ პრაქტიკად, თუ ის სისტემური ჰეგემონიის შენარჩუნებას ემსახურება, ან ანტიპარტიზანულ, ან მასტაბილიზებელ ზომებზეა დაფუძნებული (UK Stabilization Unit 2018). მშვიდობის აზროვნების სავალალო შედეგია მისი ინსტრუმენტად გამოყენება დასავლეთის მიერ დომინირებულ მართვის პრაქტიკაში. მშვიდობის მშენებლობისთვის საჭირო რადიკალური ემანსიპაციის გასაგებად, სულ მცირე, აუცილებელია, ჩავერთოთ პოსტკოლონიურ, ფემინისტურ, ინტერსექციულ (Crenshaw 1991) და გარემოსდაცვით დებატებში, იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით გვხვდება განსხვავებული ტიპის ომები და ძალადობის ახალი, ნეოლიბერალური და ციფრული ფორმები (Zuboff 2019, 9). ამ კონტექსტში საჭიროა ახალი ფორმების წარმოსახვა და მათი შექმნა, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ მათი ვარგისიანობის ვადა ისეთივე მოკლე შეიძლება იყოს, როგორც 1990-იანი წლების ლიბერალური მშვიდობის მშენებლობა ან 2000-იანი წლების ნეოლიბერალური სახელმწიფოს მშენებლობის დღის წესრიგი.

ამრიგად, ჩვენ გვსურს ემანსიპაციის საკითხს მშვიდობის კონტექსტში დავუბრუნდეთ. კრიტიკულმა თეორეტიკოსებმა, მათ შორის პოსტკოლონიურმა თეორეტიკოსებმა, ფემინისტებმა, კონსტრუქტივისტებმა და პოსტსტრუქტურალისტებმა, კრიტიკის უამრავი გზა შემოგვთავაზეს, რაც ბოლო წლებში მზარდ კვლევით მიმართულებად იქცა. მათ უდავოდ გამოააშკარავეს ძალაუფლების მუშაობის მექანიზმები, რომლებიც იმ სხვადასხვა პრაქტიკაშია

ჩაქსოვილი, რომლებიც ძალადობრივი კონფლიქტის დასრულებისთვისაა შექმნილი და მშვიდობის სახელით პოსტკონფლიქტურ კონტექსტთან გასამკლავებლად შემუშავებული. ჩვენი მიზანი აქ ახალი დღის წესრიგის წინ წამოწევაა, ისეთი აზროვნების განვითარება, რომელიც აკადემიურ კვლევასა და პრაქტიკას ლიბერალურ უფლებებზე ორიენტირებული „მშვიდობის დღის წესრიგის“ მიღმა გაიყვანს, რომელიც დისკურსს 1990-იანი წლებიდან მოყოლებული დომინირებდა და დღემდე დომინირებს, სულ მცირე, ქაღალდზე მაინც. ჩვენი მიზანი ასევეა იმ დღის წესრიგის წარმოჩენა რომელიც გაიმეორებს და განავრცობს მშვიდობის პოლიტიკისა და მშვიდობის პრაქტიკის რადიკალურ ემანსიპატორულ აზროვნებას. გლობალურ პოლიტიკურ კონტექსტში, რომელიც გაღვივებული ნაციონალიზმითა და გამრიყავი პრაქტიკით ხასიათდება, რომელიც ადამიანებისთვის განუჭვრეტადი და არასტაბილურია, ხოლო დისკურსული და ინსტიტუციონალიზებული პრაქტიკებით კვლავ აბრუნებენ ადამიანთა შორის ღირებულებით [worth] იერარქიებს, დროა მშვიდობის კვლევებმა თანამედროვე გამოწვევების წინაშე თავისი რელევანტურობა დაამტკიცოს. თავდაპირველად, ამ თავში კრიტიკული თეორიის პოტენციალს განვიხილავთ, სანამ მათგან აღმოცენებულ სხვადასხვა ემანსიპატორულ სტრატეგიებს შევხედავთ და შევაფასებთ. მათ შორისაა შემობრუნება ლოკალურისკენ და მისი ზეგავლენა ჰიბრიდულ მშვიდობასა და ლოკალიზებულ მშვიდობის დამყარების პროცესებზე, რომლებიც თავად სახელმწიფოსა და საერთაშორისო სისტემის რეფორმირებას ცდილობენ (Richmond 2014), რადგან მხოლოდ ასე შეიძლება მათ სამართლიანი მშვიდობა და მატერიალური სარგებელი მოიტანონ, საპირისპიროდ კოოპტაციისა და მედეგობის თერაპიისა. ბოლოს კი, განხილული იქნება მშვიდობის მოუხელთებელი რადიკალური დღის წესრიგის შესაძლო მახასიათებლები.

კრიტიკული თეორიის პოტენციალი

მშვიდობის მშენებლობამ, მართლაც, ჰეგემონური სტატუსი შეიძინა იმ დისკურსებსა და პრაქტიკაში, რომლებიც კონფლიქტზე რეაგირებასთანაა დაკავშირებული. ისინი ფართო სპექტრს წარმოადგენს და შეიძლება მოიცავდეს სამხედრო ინტერვენციებსა და სახელმწიფოს მშენებლობას ან ინფრასტრუქტურულ ოპერაციებს, სადაც კონფლიქტის ზონაში მყოფი ინსტიტუციები და პოპულაციები გარდასახვის (redesign) ობიექტები ხდებიან. აკადემიური კვლევა ამ პროცესებს თან მიჰყვა, მაგრამ მან ასევე ხელი შეუწყო და გააძლიერა ეს ჰეგემონური ტრაექტორია, ვინაიდან ამ საკითხზე კრიტიკულმა პერსპექტივებმა, მათ შორის ფემინისტურ ფოკუსმა აგენტობაზე და პოსტსტრუქტურალისტურ და პოსტკოლონიურ ფოკუსმა მშვიდობის მშენებლობის მეშვეობით ძალაუფლებასა და კონტროლზე, გარკვეული, თუმცა შეზღუდული შედეგი გამოიღო. პრაქტიკის რეფლექსური გადააზრების ინტეგრირებით, კრიტიკული პერსპექტივები მართლაცაა პოტენციურად ტრანსფორმაციული და ემანსიპატორული, თუმცა მათი არტიკულირება, ძირითადად, დეკლარაციული ფორმით ხდება, მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325, რომელიც ყურადღებას

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ამახვილებს. მართლაც, მშვიდობის ფორმირების ცნება უფრო რადიკალური დღის წესრიგის შემოტანის მცდელობა იყო. მშვიდობის მშენებლობისა და სახელმწიფოს მშენებლობის სამართლებრივი, ინსტიტუციური, სახელმწიფო და ვერტიკალური რაციონალობების ფონზე სუბალტერნის წინ წამოწევით დადგა სამართლიანობისა და მდგრადობის საკითხებიც.

იდეების ისტორიაში კრიტიკული თეორიის პოტენციალი დაკავშირებულია როგორც კრიტიკასთან, ისე ემანსიპაციასთან, ხოლო ეს უკანასკნელი არსებითად კრიტიკაზე დამოკიდებულადაა გაგებული. დაწყებული ფრანკფურტის სოციალური კვლევების სკოლით, რომელიც ბოლო დროს იურგენ ჰაბერმასთანაა ასოცირებული, პოსტრუქტურალისტური აზროვნებით გაგრძელებული, რომელიც მრავალმხრივაა დავალებული მიშელ ფუკოსგან, განსაკუთრებით იმ მკვლევრებისთვის, რომელთათვისაც ცოდნის, ძალაუფლებისა და სუბიექტურობის რთული ურთიერთკავშირებია საინტერესო, დასრულებული ჟაკ დერიდათი, იმ მკვლევრებისთვის, რომლებიც დეკონსტრუქციაზე ფოკუსირდებიან — კრიტიკული თეორეტიკოსის ამოცანაა, გამოააშკარაოს ენასა და ინსტიტუციურ პრაქტიკაში გამოხატული ძალაუფლებრივი ურთიერთობები, დიფერენციულ და იერარქიულ სტრუქტურებში არსებული გამორიცხვები და სუბიექტივაციები, სადაც დისკურსები იმდენად ფესვგადგმულია და თავისთავადად მიღებული, რომ ალტერნატიული წარმოსახვა უკვე შეუძლებელია. სწორედ კრიტიკული თეორეტიკოსები, მკვლევრები, რომლებიც ვიყენებთ ამ გადმოცემულ თეორიულ და კონცეპტუალურ ხელსაწყოებს კონკრეტულ ადგილებში ძალაუფლებრივი ოპერაციების გამოსააშკარავებლად, წარმოვადგენთ მათ, ვინც წარმატებით გამოვაჩინეთ კონტრეჰეგემონიური დისკურსი და პრაქტიკა; ამ თეორეტიკოსებმა, აგრეთვე, გამოაჩინეს ალტერნატიული ხმები და შესაბამისად, სუბიექტურობები, რომლებიც სრულად არაა მოხელთებული გლობალური ინსტიტუციებისა და მათი ხელქვეითების მიერ. ჩვენ ამ კონტრ-ხმებს მშვიდობის ფორმირების პერსპექტივიდან ვაკვირდებით, მაგალითად, ბოსნიელ ქალებს, რომლებიც აქტიურად ეწინააღმდეგებიან სამართლიანობისა და რეპარაციის ჩარჩოს თავსმოხვევას, რომელიც მათ აგენტობას უხილავს ხდის და განგრძობადი და სტრუქტურირებული უთანასწორობის პოსტკოლონიურ კონტექსტში თავად განსაზღვრავენ სამართლიანობის კონცეფციას (იხ. O'Reilly 2018); ნეპალელ ყოფილ მაოისტ ქალ მებრძოლებს, რომლებსაც თავს მოახვიეს სხვაგან შედგენილი სტანდარტული დემობილიზებისა და რეინტეგრირების პროგრამები და რომლებიც ამის საპირისპიროდ, კვლავ აგრძელებენ პოლიტიკაში ჩართულობას, რაც უაღრესად დაშორებულია იმ სტერეოტიპებისგან, რომლებიც საერთაშორისო სააგენტოებს აქვთ ნეპალელ ქალებზე ან როგორებიც მათ წარმოუდგენიათ(იხ. Ketola 2020).

ასეთი კრიტიკული პერსპექტივები აჩვენებს კრიტიკის ფუნდამენტურ ძალას, კონფლიქტის ზონებში დაგვანახოს ალტერნატიული და რადიკალურად განსხვავებული კონტრჰეგემონიური ხმები და მათი პოტენციალი. ასეთი ხმების წინ წამოწევა კიდევ ერთხელ დაგვანახებს იმ უზარმაზარ მისიას, რომელიც ამ სფეროში კრიტიკულ თეორიას აქვს. ეს მისია

განსაკუთრებით რელევანტური ხდება ჰეგემონიურ კონტექსტში, რომელსაც აქვს ძალა და რესურსი, უბრალოდ მისი კოოპტაცია მოახდინოს ან, უარეს შემთხვევაში, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს კონტრჰეგემონიური პრაქტიკის მიკროკოსმოსი, რომელიც ადგილზე მშვიდობის პრაქტიკას ქმნის. კრიტიკული თეორიის პოტენციალი ძევს სწორედ იმაში, რომ გამოააშკარაოს ძალაუფლებისა და მასთან წინააღმდეგობის წესები; თუმცა ის ასევე ეფუძნება ემანსიპატორულ პერსპექტივას, რომელიც, თავის მხრივ, კრიტიკას და არა მზა რეცეპტებს ეფუძნება. ამრიგად, „ემანსიპატორულის“ ცნება არაა იმპორტირებული ფორმულა, არამედ პოტენციალი, რომელიც ძალადობის მსხვერპლთა ხმებსა და პრაქტიკაშია მოცემული. ამავდროულად, კრიტიკული თეორია მიგვითითებს გლობალურ ძალებზე, რომლებსაც მშვიდობის მშენებლობის ზონებში მყოფი წინააღმდეგობის ხმები უპირისპირდებიან, როგორც ეს მოყვანილ მაგალითებში ჩანს.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ კრიტიკული თვალი ამ გლობალური ძალებისკენ უნდა მივმართოთ, იმ გზებისკენ, რომელთა მეშვეობითაც, ისინი ცოდნისა და სუბიექტურობის სივრცეებში აღწევენ. ჰაბერმასი ([1968] 2015) „ცოდნის-მაკონსტრუირებელ ინტერესებზე“ საუბრობს, როგორც მადიფერენცირებელ, ასევე მაკავშირებელ, კონცეპტუალურ საშუალებებზე. ესენია ინსტრუმენტული, პრაქტიკული და ემანსიპატორული ინტერესები. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ინსტრუმენტული ცოდნით, ეფექტურით და ტრანსფორმაციულით, მაგალითად, რა წარმომადგენლობითი სტრუქტურებია ეფექტური დემოკრატიული ტრანსფორმაციისთვის. კონფლიქტის გადაჭრისა და პოსტკონფლიქტური მშვიდობის მშენებლობის ნებისმიერი ძალისხმევა მხედველობაში უნდა იღებდეს კონტინგენტურ ფაქტორებს, დაწყებული ინფორმაციით იძულებით გადაადგილებულზე და დამთავრებული კონფლიქტის ემოციური და აფექტური ასპექტებით. თუმცა, როგორც ჰაბერმასი გვახსენებს, კრიტიკულ თეორიასა და სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ჩვენ ამავდროულად გვსურს, გავიგოთ ენისა და კომუნიკაციის მდებარეობა, ასევე ჩარჩოები, რომელშიც განსჯაა მოქცეული [constraints on understanding]. პოსტკოლონიური თეორეტიკოსებისგან ვიცით, რომ კოლონიური რაციონალობა კვლავ კვებავს ევროცენტრულ მოდელებს, როგორც თავისთავად ცხად და ლეგიტიმურ პერსპექტივას მშვიდობის მშენებლობაზე (იხ. მაგ. Jabri 2013a). ამ კონტექსტში ნებისმიერი კრიტიკული თეორეტიკოსის პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ მიუხედავად ადგილობრივი წინააღმდეგობისა და კონტრჰეგემონიური ხმების აღიარებისა და პატივისცემისა, თეორეტიკოსი, რომელიც კონფლიქტის ზონაში ჩადის, ამას აუცილებლად იმ რთულ და მძიმე ვითარებასთან გასამკლავებლად არ აკეთებს, რომლებშიც მოსახლეობაა ჩავარდნილი. ჩვენ ვაცნობიერებთ რესურსებზე წვდომისა და პრივილეგიების უთანაბრობას, რასაც მივყავართ თეორიული და პრაქსიოლოგიური აზროვნების ეთიკურ გამოწვევებთან. კრიტიკული თეორიის მიზანია, გამოააშკარაოს დისკურსებისა და პრაქტიკის ევროცენტრიზმი, როგორც განსჯისთვის [understanding] დადგენილი ჩარჩო, თუმცა როგორც ცოდნის ინსტრუმენტული, ისე ჰერმენევტული მხარეები გვაჩვენებს — უთანასწორობისა და უსამართლობის გლობალური სტრუქტურები აგრძელებს ცოდნის მაკონსტრუირებელი ინტერესების შეზღუდვას, რაც გარკვეულ ჩარჩოს იქით სვლას შეუძლებელს ხდის.

კრიტიკული თეორია ფოკუსირებულია ემანსიპაციაზე და შესაბამისად, წარმოსახვაზე, რაც ერთადაა ფოკუსირებული გლობალური ძალების მუშაობასა და მათ ტრანსფორმაციაზე. თუმცა ემანსიპატორული წარმოსახვა, თავის მხრივ, მიზანმიმართული აზროვნების ძალას ეფუძნება, რაც გულისხმობს, რომ ჩვენ გვინდა, ჩვენი „კრიტიკული“ იდეები ქმედებაში ითარგმნოს, რასაც „პრაქსისს“ ვუწოდებთ ხოლმე. ამ აზრით, ნებისმიერი ცოდნა მჭიდროდაა დაკავშირებული ინტერესებთან, მათ შორის, კრიტიკული თეორეტიკოსების დაინტერესებასთან ემანსიპაციით, რომელიც თავისთავად სადავო ტერმინია.

მშვიდობის მშენებლობა თეორიასა და პრაქტიკაში: მშვიდობის პოლიტიკისთვის

„მშვიდობის მშენებლობის“ ცნება არსებითად ინსტრუმენტულ რაციონალობას ეფუძნება, ასე ვთქვათ, კითხვას — როგორ „დავამყაროთ მშვიდობა“. საფუძველმდებარე დაშვება მდგომარეობს შემდეგში, რომ პოსტკონფლიქტური მომავლის გეგმების სწორმა დაგეგმვამ შეიძლება მოიტანოს/განაპირობოს ურთიერთობებისა და ინსტიტუციების გარდაქმნა. მშვიდობის მშენებლობის ჩარჩოს დიზაინი მიუთითებს როგორც ფორმულაზე, რომელიც დაფუძნებულია ე.წ. „ლიბერალურ მშვიდობაზე“ (ან მოგვიანებით, ნეოლიბერალურ სახელმწიფოზე), ისე გეგმის დეტალურ განხორციელებაზე, რომელიც გულისხმობს ადგილზე კონკრეტულ ჩარევას. ორივე შეიძლება გარე და შიდა სააგენტოების თანამშრომლობის პროდუქტი იყოს, თუმცა მშვიდობის მშენებლობის ჩარჩო ხშირად, თუ ყოველთვის არა, შექმნილია მათ მიერ, ვინც მიუწვდომელია უშუალოდ კონფლიქტის მონაწილეებისთვის. მშვიდობის მშენებლობა, როგორც თავად ცნება გვიკარნახებს, წარმოადგენს პრაქტიკის წყებას და ის, თუ როგორ ხდება ამ პრაქტიკათა ანალიზი, ამ საკითხზე ნებისმიერი კრიტიკული პერსპექტივისთვის უმნიშვნელოვანესია.

მშვიდობის მშენებლობისა და სახელმწიფოს მშენებლობის, როგორც ცნებისა და როგორც კონფლიქტზე რეაგირების პრაქტიკის ფორმის კრიტიკა დღეს უკვე კარგადაა ინტეგრირებული აკადემიურ ლიტერატურაში და მოიცავს პერსპექტივებს, რომლებიც მშვიდობის მშენებლობას მართვის ტექნიკად განიხილავენ. ამისთვის ისინი ეყრდნობიან ფუკოს ძალაუფლების ანალიზს, პოსტკოლონიურ კრიტიკას, რომლებიც ფოკუსირებულია პრაქტიკაზე, როგორც კოლონიური რაციონალობის წესსა და პერსპექტივებზე, რომლებიც აგენტობას მშვიდობის მშენებლობის კონტექსტში აანალიზებს. მათ შორისაა, სუბალტერნის აგენტობა, ქალთა აგენტობა და უფრო ფართოდ, ადგილობრივი ხმების საკითხი, თუ როგორ ახდენენ ისინი საგარეო ძალებზე ზეგავლენას და ეწინააღმდეგებიან მათ კონტროლს. ეს საკმაოდ კარგად შესწავლილი საკითხია და მასზე სხვაგან შეიძლება წაკითხვა, ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია, თავშივე აღვნიშნოთ, რომ კონფლიქტზე რეაგირება ზოგადად და მშვიდობის მშენებლობა

კერძოდ, დღეს უკვე ჰეგემონიური პრაქტიკებია, რომლებიც იმდენად ღრმად არიან ფესვგადგმულნი საერთაშორისო ინსტიტუტებში, რომ მთლიანობაში მათ ასევე შეითავსეს აგენტობის საკითხზე კრიტიკული რეფლექსიაც. ლიბერალური მართვის ტექნიკა კრიტიკას ერგება და მას მართლაც შესწევს ძალა, თავის პრაქტიკაში ის თავის სასარგებლოდ გამოიყენოს (იხ. Jabri 2010). ამრიგად, ამ თავის მიზანია, გამოიკვლიოს, თუ რა დარჩა კრიტიკული რეფლექსიისგან, რასაც ჩვენი არსებული კრიტიკის მიღმა გაყვანა შეუძლია. ორ სვლას გთავაზობთ, რასაც კრიტიკის მიღმა და ემანსიპატორული გაგებისკენ ჩვენი წაყვანა შეუძლია. პირველი შემოთავაზება მდგომარეობს შემდეგში — „მშვიდობის მშენებლობის" ნაცვლად გამოვიყენოთ მშვიდობის პოლიტიკის ენა. მეორეში გთავაზობთ, გადავსინჯოთ ემანსიპაციის ცნება და ის, თუ რას შეიძლება ის ჩვენს ეპოქაში ნიშნავდეს კონფლიქტისა და მშვიდობის კონტექსტისთვის. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ პირველის არარსებობის შემთხვევაში, **ესე იგი, მშვიდობის პოლიტიკის არაღიარების შემთხვევაში (არაძალადობრივი ბრძოლის, რომელიც რესურსების, სამართლიანობისა და მდგრადობის სუბალტერნული მოთხოვნებით წარიმართება), მშვიდობის ფორმირება შეუძლებელი გახდება.**

შეიძლება პარადოქსულად ჟღერდეს მშვიდობის მშენებლობის პრაქტიკის ინტერესებისა და ძალაუფლების ცნებებში განხილვა, რასაც ვერ ვიტყვით სახელმწიფოს მშენებლობის პრაქტიკის შემთხვევაში. იგი ხშირად საერთაშორისო ურთიერთობებში რეალიზმის ენასთანაა ასოცირებული და საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების სტრატეგიულ გათვლებთან, რომელიც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში ნულოვანი ჯამის თამაშში წარმატების მიღწევაზეა ორიენტირებული. **ჩვეულებრივ, მშვიდობის მშენებლობა წარმოდგენილია მშვიდობის ენის წამხალისებლად და კონფლიქტის დამსრულებლად, რომელშიც ჩართულია არა ეგოისტური ინტერესები, არამედ პრაქტიკული, ტექნოკრატიული გათვლები, რომელთა მიზანი სირთულისა და საზოგადოებრივი ფრაგმენტაციის ფონზე მშვიდობის დამყარებაა.** მშვიდობის მშენებელთათვის შედეგი შეიძლება სასარგებლო იყოს, თუმცა არსებობს წარმოდგენა, რომ მთავარ სიკეთეს თავად სამიზნე მოსახლეობა იღებს. **კრიტიკული თეორეტიკოსი, ძირითადად, მშვიდობის ინტერესითაა მოტივირებული, კერძოდ, ისეთი მშვიდობის, რომელიც ცდილობს კონფლიქტის მკვებავი ძალადობისა და უთანასწორობის აღმოფხვრას. თუმცა ამ ცვლილებისკენ სწრაფვას ყოველთვის თან ახლავს სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების დიალექტიკის აღიარება, რომ მშვიდობა არ შეიძლება, ერთჯერადი მიზანი იყოს, არამედ ის უნდა განვიხილოთ დროებით მდგომარეობად და ურთიერთობებად, რომლებიც ყოველთვის არამყარია და ამ არამყარობის გამო, უწყვეტ მუშაობასა და ინვესტირებას საჭიროებს.** სწორედ ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია, მშვიდობის მშენებლობას კრიტიკული თვალით შევხედოთ, თუმცა მისი მიღწევა ან წარმოსახვა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ მის წინა საფეხურს, სახელდობრ, კრიტიკას გავივლით და უფრო კონკრეტულად, იმის კრიტიკას, თუ რა შედეგები მოაქვს ჩაგრული მოსახლეობისთვის აკადემიური დარგებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერილ მშვიდობის მშენებლობის პრაქტიკებს. ეს გულისხმობს სუბალტერნულ პერსპექტივებს, მეთოდისა და ეთიკის საკითხებზე სრულიად განსხვავებულ დონეზე მსჯელობას, რომელიც არ იქნება

სახელმწიფო ან საერთაშორისო ურთიერთობების დონე, თუმცა მხედველობაში მიიღებს სხვადასხვა დონის ურთიერთშემადგებლობას.

თავად სპექტრი იმისა, რასაც „მშვიდობის მშენებელ“ პრაქტიკებს უწოდებენ — მათ შორის, სამხედრო ოპერაციებს, რომლებიც სამიზნე ადგილებზე ინსტიტუციურ ინფრასტრუქტურას ქმნიან და საერთაშორისო, არასამთავრობო ან სხვა ორგანიზაციებს — მიუთითებს განსხვავებული ძალებისგან შემდგარ ველზე, რომელიც როგორც სიმბოლური, ისე მატერიალური ძალებით განისაზღვრება, თუმცა, სანამ მშვიდობის მშენებლობის კონტექსტში ძალაუფლების მუშაობას გავაანალიზებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი კრიტიკული პერსპექტივა, პირველ რიგში, დაინტერესებულია იმის შესწავლით, თუ როგორ იძენს გარკვეული დისკურსი და რიგი პრაქტიკები ჰეგემონიურ სტატუსს. ეს ის საკითხია, რომელიც ცოდნას ინტერესებსა და ძალაუფლებას უკავშირებს. დღევანდელ დღეს მშვიდობის მშენებლობას ასეთი სტატუსი აქვს: ის საყოველთაოდაა მიღებული უნივერსალურ, თავისთავად ცხად პასუხად კონფლიქტზე, რომელსაც უპირატესობა აქვს მოლაპარაკებებისა და კონფლიქტის მოგვარების დიპლომატიურ მექანიზმებზე. ცოდნის სისტემებში, კვლევების დაფინანსების სქემებსა და პრაქტიკის ბიუროკრატიზებაში, ძალისხმევის ძირითადი ნაწილი მიემართება არა დიპლომატიის, არამედ მშვიდობის მშენებლობისკენ: მშვიდობისკენ, როგორც „მართვისკენ“ [government] ან მშვიდობისკენ, როგორც მმართველობისკენ [governance] (იხ. მაგ. Duffield 2007; Jabri 2007: Richmond 2005). უფრო კონკრეტულად, პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობების მენეჯმენტი ინტერვენციული ზომებით, რომელიც უპირატესობას ეკონომიკურ და სოციოპოლიტიკურ ცვლილებებს ანიჭებს — ნაცვლად მოსახლეობათა პოლიტიკური მოთხოვნების გათვალისწინებისა. გამოყენებული მეთოდი, ძირითადად, პედაგოგიკას ეფუძნება, რაც მოიცავს ადამიანთა ტრენინგებს, რომელთაგან ყველას მიზანი ლიბერალური, თვითმმართველი სუბიექტების ჩამოყალიბებაა.

მშვიდობის მშენებლობასა და სახელმწიფოს მშენებლობაზე არსებულ ლიტერატურასა და საერთაშორისო დოკუმენტებში ძირითადი აქცენტი ინსტრუმენტულობაზე კეთდება, კერძოდ, კონფლიქტის კონკრეტულ კონტექსტებში გამოსაყენებელი მექანიზმების მონახაზებზე, როგორიცაა ყოფილი მებრძოლების რეინტეგრირების პრაქტიკები ან ადგილობრივი უსაფრთხოების სამსახურების ტრენინგი ადამიანის უფლებებში ან გენდერულ თანასწორობაში. ამ პროექტების ფარგლებში ასევე ფასდება ცალკეული ინტერვენციები, მათი წარმატების, მარცხისა თუ მარცხის რისკის მიხედვით. ასეთი რაციონალისტური, თუნდაც მეცნიერული მიდგომა, ეფუძნება ტრანსფორმირებული ინსტიტუტების ნავარაუდებ ძალას, მიუხედავად იმისა, რომ მათ საერთაშორისო სააგენტოები გარედან მართავენ. სახელმწიფოს ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის სრული ტრანსფორმაცია, მისი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სფეროებით, ისტორიულად პოსტკოლონიურ კონტექსტში, არსებითია რედიზაინისთვის, სახელმწიფოს მშენებლობისთვის და წარმოსახულია ლიბერალურ პოლიტიკურ ერთობაზე სწორებით. მისი ეპისტემოლოგიური და ონტოლოგიური კონტექსტი საერთაშორისო ურთიერთობების ლიტერატურაში ცნობილია,

როგორც დემოკრატიული მშვიდობის თეორია რომ: „დემოკრატიები ერთმანეთთან არ ომობენ“. მშვიდობის მშენებლობა სახელმწიფოს მშენებლობის სინონიმია, თუმცა ის ასევეა გარკვეული ტიპის სახელმწიფოს მშენებლობაც (იხ. Richmond 2014), დაფუძნებული „თავისუფალ ბაზარზე“, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობაზე. სწორედ მშვიდობის ეს კანტიანური გაგებაა მშვიდობის მდგომარეობის გარანტია.

აქედან შეგვიძლია დავინახოთ, რომ მშვიდობა არა უბრალოდ კონფლიქტის შედეგია, არამედ მდგომარეობაც, რომელიც მმართველობით პრაქტიკებს ექვემდებარება, ხოლო თავად ეს პრაქტიკები კონტროლის ტექნიკებს ეყრდნობა, რომლებიც, თავის მხრივ, ცდილობენ მოსახლეობის კატეგორიზებას, მათი ეკონომიკური და სოციალური საჭიროებების შეფასებასა და, ასევე, მათში კონფლიქტურობის პოტენციალის დადგენას. მშვიდობის მართვაში ძალაუფლება სუბიექტივაციის მეშვეობით მოქმედებს, ჩაგრულთა ცოცხალ გამოცდილებებში ინტერვენციებით. მოგვიანებით, ჩვენ ვნახავთ, თუ როგორ გადააქვს მშვიდობის ემანსიპატორულ გაგებას წარმოსახვის ცენტრი სახელმწიფოდან პოლიტიკაზე.

უნდა განვასხვაოთ მშვიდობა, როგორც მართვა [government] ან მმართველობა [governmentality], ფუკოს ტერმინი რომ გამოვიყენოთ, და მშვიდობის პოლიტიკა (Jabri 2007), სადაც მშვიდობა, როგორც ასეთი, სადავო ცნებაა იმ უსამართლობასთან ან ინსტიტუციონალიზებულ და სტრუქტურულ უთანასწორობასთან მიმართებით, რომელზეც კონფლიქტის მხარეები მიუთითებენ. გაბატონებული შეხედულება მდგომარეობს იმაში, რომ კონფლიქტის მხარეთა წარმოდგენები შეიძლება ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებში — ადგილობრივ პირობებზე მორგებით — ლიბერალური რაციონალობების შეტანით მოითოკოს და მოგვცეს შედეგი, რომელიც შესაბამისობაში იქნება გაზომვადობის გარკვეულ ნეოლიბერალურ სტანდარტთან ან, საუკეთესო შემთხვევაში, მათში ასახული იქნება მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის სტანდარტული ზომები. დღეს სწორედ ასეთი სახე აქვს წამყვან მშვიდობისა და სახელმწიფოს მშენებელ პრაქტიკებს და მათ მხარდამჭერ პროგრამებს. ამ პროგრამებში მრავალი ინსტრუმენტული ინტერესი მონაწილეობს. ასევე მათი მოტივაცია, შექმნან ჩვეული სამიზნეები და ლეგიტიმიზების დისკურსი. ეს ხაზი იმდენად გაძლიერდა, რომ აშკარა მილიტარიზება და სეკურიტიზება ხშირად ჩაგრული მოსახლეობისთვის მინიჭებულ „სიკეთედ“ საღდება ხოლმე. ასეთი დისკურსები და ადგილზე გატარებული ღონისძიებები შორს არაა კოლონიური რაციონალობისგან, კოლონიური დროის მსგავსად, დღესაც ადგილზე მყოფები ხდებიან კოოპტირებული სუბალტერნები, რომლებსაც მშვიდობის საჯარო-კერძო ინდუსტრია თავიანთ სამსახურში აყენებს.

რა თქმა უნდა, ასევე, ვხვდებით ამ ინდუსტრიასთან წინააღმდეგობის შემთხვევებსაც და მათ ისეთ არტიკულირებას, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ორთოდოქსია, მისი ძალაუფლება და ლეგიტიმაცია. წინააღმდეგობის ასეთი ეპიზოდები შეგვახსენებს, რომ **ტექნოკრატიისა და მენეჯმენტის მეშვეობით მშვიდობის მართვა [government of peace] არაა მშვიდობის პოლიტიკა, პოლიტიკური მოთხოვნების დასაყენებელი სივრცის შექმნა. პარადიგმის ცვლილება —**

მშვიდობა, როგორც მართვიდან, მშვიდობა, როგორც პოლიტიკაზე — საშუალებას გვაძლევს, გადავიაზროთ თავად ცნება და ის ღონისძიებები, რომლებიც მისი სახელით ტარდება და მჭიდროდ დავაკავშიროთ ინტერესებს, რომელიც არა უბრალოდ ინსტრუმენტული, არამედ ემანსიპატორულია. ცოდნასა და პრაქტიკაში პარადიგმის ასეთი ცვლილება უნდა მოხდეს პოსტკოლონიურობის ისტორიულ მომენტზე დაყრდნობით, მომენტზე, როდესაც კოლონიური მმართველობისგან დამოუკიდებლობა ცხადდება და რომელშიც კოლონიური რაციონალობა კვლავ აგრძელებს პოსტკოლონიურ მოსახლეობათა სტატუსზე დაფუძნებულ და მაშასადამე, ხმაზე დაფუძნებულ იერარქიებზე დაქვემდებარებას. მიმდინარე გაღატაკების გლობალურ კონტექსტში, უოლტერ როდნის რომ დავესესხო ([1972] 2018) და მისი თეზა დღევანდელობას მოვარგო, არც ერთ გარე აქტორს არ შეუძლია, „სიკეთეები" აჩუქოს პოსტკოლონიურ მოსახლეობას, ვინაიდან, თითოეული ეს საჩუქარი დიდი ფასის სანაცვლოდ კეთდება და ამაში დამნაშავეებს შორის სამშვიდობო ოპერაციებიცაა. **მაშასადამე, მშვიდობის ემანსიპატორული პოლიტიკა მათ უნდა შექმნან, ვისაც ეს ეხება და ეს უნდა მოხდეს პოსტკოლონიურ პოლიტიკური კონტექსტებისა და პოლიტიკური პაექრობის ფარგლებში.** ეს კი, თავისთავად, პოსტკოლონიურობის არსებითი დაპირება იყო. ასეთი თვითავტორობა [self-authoring] არ შეიძლება, დავიყვანოთ ხშირად ძალზედ მოსახერხებელ ტომობრივ და ეთნიკურ საკითხებამდე, ტრადიციულ ავტორიტეტებამდე, რაც ისეთმა პოსტკოლონიურმა ლიდერებმა და მოაზროვნეებმა განიხილეს და დაგმეს, როგორც კოლონიური ექსპლუატაციის წყაროები, როგორებიც კვამე ნკრუმა და ფრანც ფანონი არიან. დასავლური ინტერვენციები კვლავ საფუძვლად უდევს პოსტკოლონიური საზოგადოების საჯარო სივრცეებს, ცოცხალი დელიბერაციისა და პოლიტიკური ბრძოლის კონტექსტებს. მშვიდობის ემანსიპატორულ პოლიტიკას თავისი საფუძველი თვითგენერირებულ საჯარო სფეროებში აქვს, პოსტკოლონიური სამყაროს ტაჰრირის მოედნებში (Jabri 2013b).

სწორედ ასეთ საჯარო სივრცეებში შეიძლება არტიკულირდეს და მნიშვნელობა შეიძინოს სამართლიანობასთან, უთანასწორობასა და უფლებებთან დაკავშირებულმა მოთხოვნებმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვაღიაროთ, რომ ასეთი მოთხოვნები, პირველ რიგში, დაკავშირებულია იმასთან, რასაც ჰანა არენდტმა უწოდა — უფლება პოლიტიკაზე. ასეთ მოთხოვნებზე დაკვირვებისას ვხედავთ, რომ მშვიდობა დაკავშირებულია უფრო ფართო გლობალურ საკითხებთან, რომლებიც უსამართლობისა და უთანასწორობის ნორმატიულ და მატერიალურ საფუძვლებში იღებს სათავეს. პოსტკოლონიური საჯარო სივრცეების დასუსტებაც იმ პოსტკოლონიური სახელმწიფოების ინტერესებში შედიოდა, რომლებიც თანამონაწილეები იყვნენ კოლონიური რაციონალობისა და მისი მხარდამჭერი სოციალური, პოლიტიკური და იურიდიული სისტემების შენარჩუნებაში. მაშასადამე, მშვიდობის ემანსიპატორულ პოლიტიკას საჯარო სივრცის სრულფასოვანი გაგება უნდა ჰქონდეს, რომელიც პოსტკოლონიური პოლიტიკური ერთობის ხელახალი შექმნისკენ იქნება მოწოდებული, მაგრამ ასევე — რეგიონისა და ფართო გლობალური კოალიციისკენ, რომელიც გლობალური თამაშის წესების გადაწერისთვის იბრძოლებს; წესების, რომლებიც დიდი ხანია, ძლევამოსილი და ექსპლუატატორული ძალების სასარგებლოდ მუშაობს. ამ ძალებმა აჩვენა

თავისი დესტრუქციულობა არა მხოლოდ პოსტკოლონიური მსოფლიოსთვის, არამედ, პოტენციურად, მთლიანად პლანეტისთვისაც.

გლობალურ გადაჯაჭვულობას გლობალური კოალიციები სჭირდება, ხოლო **მშვიდობის ემანსიპატორული პოლიტიკა თვითავტორობით იწყება დელიბერაციისა და პოლიტიკური ბრძოლის დაბრუნებულ საჯარო სივრცეებში.** მშვიდობის მშენებლობის ტექნოკრატიული ან სტანდარტული ინსტრუმენტული გაგება შეიძლება გაიზომოს კოლონიური მართვის [governmentality] რაციონალობით განსაზღვრული და შეზღუდული ნორმებით, თუმცა ისინი ვერ ჩაანაცვლებენ იმას, რასაც ჩვენ აქ მშვიდობის ემანსიპატორულ პოლიტიკას ვუწოდებთ. ზოგმა შეიძლება თქვას, რომ პირველია, რაც მეორეს გზას უხსნის, რომ სწორედ „ლიბერალურ მშვიდობას" შეუძლია, შექმნას პირობები ცოცხალი და მშვიდი საჯარო სივრცისთვის. ამ არგუმენტის პრობლემა მდგომარეობას იმაში, რომ ის კვლავ ეფუძნება წარმოდგენას, რომ პოსტკოლონიურ მსოფლიოს რაღაც აკლია, რომ ის აუცილებლად „დაეწევა" დასავლურ სამყაროს, თუკი ეს უკანასკნელი მათ მაშველ ხელს გაუწვდის. თუ ამ რაციონალობის გავლენა შენარჩუნდება, მშვიდობის პოლიტიკის მიზნები სრულად ვერასდროს შესრულდება და კიდევ უფრო დასუსტდება, თავისი შეზღუდული წარმოსახვის გამო, რომელიც „მშვიდობის" ფორმალისტურ გაგებას ეფუძნება.

აქ განხილული პარადიგმის ცვლილება არ გულისხმობს მშვიდობის ერთ განმარტებას, არც გაზომვად „წარმატების" ფორმულას, არამედ — მშვიდობის პოლიტიკას, რომელიც, განსაზღვრების მიხედვით, დელიბერაციასა და პოლიტიკურ პაექრობას ეფუძნება. ის ცნობს პოსტკოლონიურობის ხანგრძლივ დაპირებას, რომ უფლება პოლიტიკაზე გულისხმობს თვითქმნილ [self-authored], თვითგენერირებულ და მდგრად საჯარო სივრცეებს, რომლებსაც შეუძლიათ, გააცოცხლონ პოსტკოლონიური სულისკვეთება იმ ძალების წინააღმდეგ, მისი ლოკალურად და გლობალურად დასუსტება რომ სურთ. შემოთავაზებული **მშვიდობის ემანსიპატორული პოლიტიკა ამ პოსტკოლონიური საჯარო სივრცეების კვალად ამბობს, რომ კონფლიქტის, უსამართლობისა და უთანასწორობის ადგილობრივ გამოვლინებებს საფუძველი უფრო ფართო გლობალურ პროცესებში აქვს და, შესაბამისად, გლობალურ კოალიციებს საჭიროებს.**

ლოკალურისკენ შემობრუნების კრიტიკა

მშვიდობის ევოლუციისა და პოლიტიკასთან მისი ურთიერთობის გაგებისას ბევრი დილემა და პარადოქსი წარმოიშობა ხოლმე, როცა მას კრიტიკული, ინტერსექციული, გარემოს დაცვითი და, ბოლოს, პოსტკოლონიური თვალით ვუყურებთ. ამან ბიძგი მისცა მშვიდობის მშენებლობაში ე.წ. ადგილობრივისკენ შემობრუნებას (Mac Ginty and Richmond 2013). ამ შემობრუნებამ მეთოდოლოგიური ცვლილება მოიტანა, როცა **მშვიდობის მშენებლობის**

ცენტრი სახელმწიფოდან და საერთაშორისო სისტემიდან სუბალტერნზე გადავიდა, კერძოდ —გლობალური სამხრეთის პოზიციონალობებზე. მან ჰიბრიდულობის კონტექსტში მშვიდობის ძალიან განსხვავებული გაგება მოგვცა (Boege, Brown, and Clements 2009): ხშირად ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თვითგამორკვევას, აყენებდა რესურსების, კულტურულ, ისტორიულ და უფლებრივ საკითხებს, მაგრამ, ასევე, ეჭვქვეშ აყენებდა თავად იმ ეპისტემოლოგიურ ჩარჩოებს, რომელთა მეშვეობითაც ამ საკითხებთან გამკლავება ლიბერალურ სამშვიდობო ჩარჩოებში ხდებოდა (Richmond 2011). სამართლიანობა დროსა და სივრცეში, თანასწორობისა და მდგრადობის საკითხები — მშვიდობასა და მის მართვას ძალიან განსხვავებულ ჩარჩოში აქცევს, ვიდრე გეოპოლიტიკა, იმპერიალიზმი, ლიბერალური თუ პოსტკოლონიური სახელმწიფო-სისტემები ან გლობალური კაპიტალი — იმის მიუხედავადაც, რომ არსებობდა განცდა, სახელმწიფო და მულტილატერალური სისტემა კვლავ სასიცოცხოლოდ მნიშვნელოვანია. ჰიბრიდული მშვიდობისა და წესრიგის ურთიერთგადაჯაჭვულობა ეპისტემურ და მეთოდოლოგიურ გადასვლას მოჰყვა, საერთაშორისოდან სახელმწიფოზე და შემდეგ ლოკალურზე ან სუბალტერნულზე გადასვლა.

ლოკალურისკენ შემობრუნებამ, რომელიც მცდელობა იყო, მშვიდობის ფორმირების მეშვეობით ამოევსოთ ეს ფუნდამენტური ნაპრალები, ნაცვლად სახელმწიფოს ფორმირებაზე, სახელმწიფოს ან მშვიდობის მშენებლობაზე ფოკუსირებისა, სამი მიმართულება აირჩია, რომლებიც ინტერვენციისა და ემანსიპატორულ დებატებთან მისი ურთიერთობის გასაგებად გამოგვადგება. პირველი — პოსტკოლონიურმა მიმართულებამ ყოველდღიური მეთოდოლოგია შექმნა, რომელიც დაკავშირებულია გლობალური სამართლიანობის უფრო ღრმა ისტორიულ და გადანაწილებით საკითხებთან. მისთვის ლოკალური პოლიტიკური მონაცემი აუცილებელია თვითგამორკვევისთვის, მაშასადამე, არსებითად პოლიტიკურია და მათი გამოყენება შეიძლება ქვემოდან ზემოთ, მკვეთი [transversal] მშვიდობის მშენებლბის ფორმებისთვის. ამ ხედვაში გარეგანი ინტერვენცია აუცილებელია ძალაუფლებრივი ურთიერთობის გასაგებად და ზოგჯერ მას თავად მტრულ გარემოში მცხოვრები მოსახლეობა ელის, თუმცა ლოკალური პოლიტიკური მოთხოვნების კონტექსტში პოლიტიკური ავტონომიაც უაღრესად მნიშვნელოვანია. მშვიდობის პოლიტიკა და რასაც ეს პერსპექტივა ემანსიპაციაში კონკრეტულად გულისხმობს, ლოკალური პოლიტიკური ერთობების მიერ უნდა გატარდეს, თუმცა აქაც წარმოიშობა კითხვები, კერძოდ, თუ როგორ ხდება გლობალური ძალაუფლებრივი ურთიერთობების კონტექსტში მათი შემუშავება და განხორციელება (ალბათ, ეს იყო მიუმხრობელთა მოძრაობის ლოგიკაც). ლიბერალური სამშვიდობო პოლიტიკის გამოცდილებისა და მისი უამრავი პრობლემის გამო, ეს პერსპექტივა ჰიბრიდულ მშვიდობაზე მსჯელობისკენ მოგვიწოდებს.

მეორე — შიდა ლიბერალური კრიტიკა ხშირად ლოკალურისკენ შემობრუნებას გლობალური ჩრდილოეთის საჯარო პოლიტიკის შემქმნელებისთვის სასარგებლო ინსტრუმენტად განიხილავდა (მაგ. გაერო და საერთაშორისო დონორები), მათ მიერ კონფლიქტურ სახელმწიფოებში რეფორმების დანერგვის მცდელობისას, რაც, ხშირად, ეთნოგრაფიული

სამუშაოების მეშვეობით ერთგვარ მეთოდოლოგიურ ლიბერალიზმს იძლეოდა. ეს ხშირად უზარმაზარ ბიუროკრატიულ, ტექნოკრატიულ და აღწერით ადგილობრივ მონაცემებს აგროვებდა „ყოველდღიურ მშვიდობაზე“ (Mac Ginty 2014: Millar 2014). დამატებით კიდევ ერთი, პრესკრიფციული ეტაპიც გამოჩნდა, რომელშიც ასეთ აღწერით მონაცემებს შემდეგ ლიბერალურ მშვიდობაზე მომუშავე ჩრდილოელი აქტორები ამუშავებენ და ხელს უწყობენ ერთგვარ ნეოსამეურვეო ზონების ჩამოყალიბებას, თანმხლები ლოკალური პატრონაჟითა [local ownership] და გარკვეული დოზის ლოკალური ავტონომიით. თუმცა ამ ყველაფრის გაკეთება მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების დადგენილი პარამეტრების შიგნითაა შესაძლებელი.

მესამე — ამ აღწერითი მიდგომის რეალიზმთან უფრო ახლოს მდგომმა ვერსიამ მონაცემები პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ და სტაბილიზაციის ზომებისთვის გამოიყენა. ამ მიდგომას, ძირითადად, ჰეგემონიური რეგიონული აქტორებისა და გლობალური ჩრდილოეთის მეთოდოლოგიურ ნაციონალიზმს უწოდებენ ხოლმე. ის მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის სახელმწიფოს მშენებლობის პოლიტიკაში და, ასევე, კონტრტერორისტულ ოპერაციებში ან ჩახშობის სტრატეგიებში, რათა შეემცირებინათ ძალადობა, მაგრამ არა ემანსიპაციური პროცესების მხარდასაჭერად. ეს ბევრი თანამედროვე მშვიდობის პროცესის ცენტრ-პერიფერიულ ხასიათზე მიუთითებს, რაც გულისხმობს იმას, რომ მართალია, ამ მიდგომებმა შეიძლება შეასუსტოს კონფლიქტი, ისინი თითქმის არაფერს აკეთებენ საფუძველმდებარე ძალაუფლებრივი დინამიკის შესაცვლელად, უთანასწორობის ან კონფლიქტის მიზეზების აღმოსაფხვრელად.

ლოკალურისკენ შემობრუნების ფარგლებში, თითოეულ ამ ქვემიდგომას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს, ხოლო სუბალტერნი გამოკვეთილად ამ ძალაუფლებრივი ურთიერთობის დაქვემდებარებულ მხარეს დგას. თუმცა მათი შედარებითი **ემანსიპაციური პოტენციალი საკმაოდ აშკარაა იმაში, რომ ისინი წინ წამოწევენ ომისა და ძალადობის ადგილობრივ გამოცდილებებს, რათა მასზე დააშენონ პრობლემის მოგვარების გზები და დააფიქსირონ დამაბრკოლებელი და ხელისშემშლელი ძალაუფლებრივი სტრუქტურები.** რეაგირების მექანიზმებს ხშირად საგარეო მხარდაჭერა ან ხელშეწყობა სჭირდება, თუმცა, როგორც წესი, დიდი შესაძლებლობების მქონე აქტორებისა და კოალიციებისგან. ეს საშუალებას გვაძლევს, ავხსნათ, თუ როგორ გამომდინარეობს ინტერვენციული პრაქტიკის მასობრივი გავრცელება მეთოდოლოგიური პერსპექტივებიდან, რომლებიც დაკავშირებულია ნაციონალიზმთან, ლიბერალიზმსა და ძალადობის ყოველდღიურ კონტექსტთან. თუმცა, ვინაიდან ინტერვენციისთვის გამზადებულ ამ ძალებზე [capacity] დაფუძნებულ ეპისტემურ ჩარჩოებში გარკვეული გარე მიკერძოებულობაა ჩაშენებული, მათ გრძელვადიან პერსპექტივაში მშვიდობის მშენებლობისთვის ლეგიტიმაციის პრობლემები უჩნდებათ. მათი ჰეგემონური გადახრაც [deflection] უფრო აშკარაა, კერძოდ, დომინანტური აქტორების უფრო დიდი ინფორმაციის გადამამუშავებელი ძალის გამო, რომელზედაც ლოკალურისკენ მიბრუნების მეორე და მესამე ვერსიებში ვსაუბრობდით, მაშინ როდესაც ადგილობრივ

აქტორებს ბევრად ნაკლები რესურსი აქვთ მონაცემების ინტერპრეტირების, თავიანთსავე თავზე. მშვიდობის მშენებლობის პროცესში ადგილობრივი ცოდნისა და ავტონომიის წინა პლანზე წამოწევა მეტყველებს იმაზე, რაც ჩანდლერმა (2014) გააკრიტიკა, როგორც მედეგობაზე დაფუძნებული და თერაპიული მიდგომები, რომლებსაც ბევრი საერთო აქვთ ნეოლიბერალიზმთან. ეს უკანასკნელი ხელფეხს უხსნის გლობალური კაპიტალის ძალებს, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია კი, ხშირად, ასეთი კონფლიქტების საფუძველია, რაც პარადოქსულ ვითარებას ქმნის — მშვიდობის მშენებლობა და სახელმწიფოს მშენებლობა, დახმარების ნაცვლად, პირიქით, ხელს უწყობს კონფლიქტის დინამიკას და კონფლიქტურ საზოგადოებებს უმართავი ეკონომიკური პრაქტიკის წინაშე დაუცველს ტოვებს. მაგალითად, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამან გრძელვადიან პერსპექტივაში კიდევ უფრო გაამწვავა კონფლიქტი, მიუხედავად იმისა, რომ გაეროს, ევროკავშირისა და სხვა დონორების მისიები დასრულებული არ ყოფილა.

მშვიდობის მშენებლობის ლოკალური გაგება აუცილებლად დაკავშირებულია მშვიდობის გეოპოლიტიკასა და სახელმწიფოსთან (ზოგადად, ნეგატიურად), ლიბერალიზმთან (ზოგადად, ევროცენტრიზმთან), კაპიტალიზმსა და ნეოლიბერალიზმთან (ზოგადად, ექსტრაქტივიზმთან) დაკავშირებულ გაგებებთან. ჯერ კიდევ გვაქვს შესაძლებლობა, რომ მშვიდობა სამართლიანობის ჩარჩოში გადავიაზროთ კონცეპტუალურად, განსაკუთრებით კი მისი ლიბერალური ვერსია და მისი „ეპისტემური ძალადობა“ (Millan and Yildirim 2014, 197). უფრო კონკრეტულად, **გლობალურ სამართლიანობაზე მსჯელობა გვთავაზობს ისტორიულ და გადანაწილებით დღის წესრიგს, რომლებიც აშკარად გამოტოვებულია მშვიდობის მშენებლობისა და მშვიდობის პროცესებიდან. ის აყენებს თანასწორობისა და მდგრადობის ცხად და მეცნიერულად კონკრეტულ საკითხებს რასობრივი, კლასობრივი და გენდერული თვალსაზრისით, პოლიტიკის როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ განზომილებებში.** მშვიდობის მშენებლობისა და სამშვიდობო შეთანხმებების მეშვეობით მშვიდობა — რომელიც პრაქტიკული ემანსიპაციიდან იღებს ლეგიტიმაციას — უფრო კომპლექსურად და ამბიციურად უნდა იმართოს, ვიდრე ეს ადრე ხდებოდა აშშ-ს მსგავსი ჰეგემონების მიერ ახლო აღმოსავლეთში ან ბალკანეთში ევროკავშირის მიერ, ან გაეროს მიერ მის უამრავ მშვიდობის მშენებელ და სამშვიდობო ოპერაციებში. საჭიროა გლობალური სამართლიანობის ლიბერალური გაგებებიდან გადასვლა, რომელიც ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს, ლიბერალური საერთაშორისო სამართლისა და საჯარო საფუძვლის [public reason] მეშვეობით — პოსტკოლონიურ (Zondi 2017), გენდერულ და გარემოს დაცვით პერსპექტივებზე, რომლებიც ბევრად უფრო ამბიციურ დღის წესრიგს წარმოადგენენ. ის ასევე სვამს წინააღმდეგობის საკითხს, რომელსაც მშვიდობის პოლიტიკის ახლებური ჩამოყალიბება შეიძლება შეეჩეხოს ელიტებისა და ჰეგემონებისგან, რადგან საერთაშორისო ურთიერთობების ასეთი გადაწყობა მათი ძალაუფლების, ავტორიტეტის, რენტისა და პრივილეგიების დაკარგვას გამოიწვევს. წინააღმდეგობისა და რეაქციის ეს ტენდენცია ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის მკაფიო ელემენტი იყო იმ დროიდან მოყოლებული, როცა პოსტკოლონიური სახელმწიფოების გაჩენა დაიწყო, ხოლო უახლეს დროში ეს

განწყობები სახელმწიფოს მშენებლობის, მშვიდობის მშენებლობის და მშვიდობის პროცესებში აისახა (Adebajo 2016).

არ შეიძლება მშვიდობის განცალკევება ომის კომპლექსური კავშირებისგან სხვადასხვა დროით და გეოგრაფიულ სივრცეში განფენილ განზომილებებთან, რისი უგულებელყოფაც ადრე ხშირად ხდებოდა. ჩვენ შეგვიძლია, შემდეგი შემთხვევები გავიხსენოთ: 1970-იან წლებიდან მოყოლებული პალესტინელების გამოთიშვა ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესებიდან; 1964 წელს კვიპროსში გრძელვადიან ცეცხლის შეწყვეტაზე იმედების დამყარება შეთანხმების გარეშე; ბალკანეთში ჩადენილი ბევრი, თუმცა არა ყველა, სისასტიკისა და ზიანის მიჩქმალვა, 1995 წლის დეიტონის შეთანხმებით; მშვიდობის დივიდენდისთვის მერყევ გლობალურ კაპიტალზე იმედების დამყარება, როგორც 1994 წელს კამბოჯაში; ეკონომიკური განვითარებისკენ მისწრაფების უგულებელყოფა, როგორც 2002 წელს ტიმორში; მხარდაჭერისა და რესურსების მიწოდების შეწყვეტა მშვიდობის დამყარებამდე, როგორც ეს ავღანეთსა და ერაყში, 2010-იან წლებში; ან, უბრალოდ, მშვიდობის სამუშაოს საერთოდ არდაწყება, როგორც იემენსაში და სირიაში. ყველა ამ შემთხვევაში და არა მარტო, ჩვენ ვხედავთ მშვიდობის პოლიტიკის ინსტრუმენტულ ბოროტად გამოყენებას, რათა ძირი გამოეთხაროს იმ ინიციატივებს, რომლებიც ძალადობრივი კონფლიქტის დასრულებაზე არიან ორიენტირებული, რათა მოხდეს ომის გაგრძელება და სამხედრო ტექნოლოგიების გამოყენება იმ მოსახლეობის წინააღმდეგ რომლებიც გასაწირად მიიჩნევიან.

დასკვნითი შენიშვნები: მომდევნო ეტაპზე მშვიდობის რადიკალური პარადოქსები

ლიბერალური ინტერნაციონალიზმის, ლიბერალური მშვიდობის მშენებლობის, სახელმწიფოს მშენებლობის, განვითარებისა და სხვა მათთან დაკავშირებული პრაქტიკისა და ინსტიტუციების ერთ-ერთი მიზანი გასულ საუკუნეში იყო სამოქალაქო საზოგადოების, სოციალური მოძრაობებისა და სუბალტერნის აგენტობისა და პოლიტიკური მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა კონსტიტუციურ წესრიგთან, სახელმწიფოსა და საერთაშორისო არქიტექტურასთან. ეს ყველაფერი კი ხელისუფლების, მშვიდობის, სამართლიანობისა და დემოკრატიის განმანათლებლობისეულ ცნებათა კონტექსტში ხდებოდა, რაც, სხვათა შორის, ჩრდილოური ჰეგემონიების ინტერესებში შედიოდა. შედეგად, მშვიდობა მძაფრად და კრიტიკულად პოლიტიკური გახდა, უკვე უფრო მეტს წარმოადგენდა, ვიდრე მშვიდობის ფორმირებისა და სუბალტერნის პერსპექტივიდან ძალადობის შეჩერებას, არამედ ემანსიპაციის საკითხსაც და მისგან გამომდინარე უფლებების, სამართლისა და ინსტიტუციების განვითარებას. მართლაც, ძალადობის უბრალო შეწყვეტა გამარჯვებულის მშვიდობით სრულდება — რაც, ძირითადად, ელიტებისთვისაა ხელსაყრელი, რასაც

მშვიდობის მშენებლობისა და სახელმწიფოს მშენებლობის პრაქტიკაც მოწმობს — და არა მშვიდობის ფორმირებისთვის საჭირო ფუნდამენტური თვითგამორკვევით, სოციალური და გლობალური სამართლიანობით. საერთაშორისო, მულტილატერალურმა და ბიუროკრატიულმა ძალამ, გლობალური ლიბერალური და ნეოლიბერალური მმართველობის ფორმა მიიღო. შედეგად მოხდა მისი პლატფორმად გამოყენება, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ამ არქიტექტურის აღმოცენებისთვის და სამშვიდობო პროცესებში და მშვიდობის მშენებლობაში ყოველდღიური და ლოკალური პოლიტიკური მოთხოვნების კონსოლიდაციისთვის. თუმცა, ეს მოთხოვნები უნდა დარჩენილიყო მხოლოდ ლიბერალური ან ნეოლიბერალური მშვიდობის და ომის სახელმწიფოზე ორიენტირებულ ან სამოქალაქო ცნებების ჩარჩოში.

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში საერთაშორისო მშვიდობის არქიტექტურამ ჯერ მეცხრამეტე საუკუნის გეოპოლიტიკისა და ლიბერალური-ინტერნაციონალიზმის ჭიდილის ფორმა მიიღო, შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის მერე, ცივი ომის დროს, ლიბერალური ინტერნაციონალიზმისა და დემოკრატიული თეორიის კონტექსტში სტრუქტურალიზმისა და ადამიანის უფლებების გაფართოებაზე ლიბერალური დებატების ფარგლებში ჩამოყალიბდა, ბოლოს კი, ცივი ომის შემდეგ ლიბერალური მშვიდობის მშენებლობის სახე მიიღო. ეს ინიციატივები რეგიონულ და გლობალურ წესრიგში ინტეგრირდა, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფოებისგან შემდგარი სისტემით და ჰეგემონიისა და ტერიტორიული სუვერენიტეტის რაციონალობებით იყო სტრუქტურირებული. თუმცა ამ სახელმწიფოებსვე ეკისრებათ პასუხისმგებლობა, გაავრცელონ და განავრცონ ადამიანის უფლებები, განვითარება, საერთაშორისო სამართალი და დემოკრატია. ეს ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მალევე გახდა კრიტიკული თეორიის შესწავლის საგანი, ხოლო ძალადობაზე შეცვლილი წარმოდგენები 2000-იან წლებში არქიტექტურის ლეგიტიმაციის ჩამოშლის საფუძველი გახდა, განსაკუთრებით ტერორიზმთან ომის კონტექსტში (მნიშვნელოვანწილად, ეს სისტემა ჯერ კიდევ თავის ადგილზეა, თუმცა — როგორც მომაკვდავი).

ამ საკითხებში კრიტიკული თეორიის კრიტიკა, ძირითადად, შესაძლებელი გახდა სახელმწიფო, რეგიონულ და გლობალურ სტაბილურობასთან მშვიდობის შეცვლილი კავშირით, ასევე ლიბერალური სახელმწიფოს შიგნით სოციალურ სამართლიანობასა და საჯარო მსჯელობასთან [public reason] და ბოლო დროს სუბალტერნულ პოლიტიკურ მოთხოვნებთან კავშირით. ეს ყველაფერი სამომავლოდ გლობალური სამართლიანობის პოსტკოლონიურ გაგებაზე გადასვლისკენ მიუთითებს, თუმცა სახელმწიფოთა სისტემაში უკვე დამკვიდრებული ძალებისა და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის პასუხი დაფუძნებული იყო სწორედ ასეთი განმანათლებლური/საგანმანათლებლო რაციონალობების უარყოფაზე. მიუხედავად ამისა, მშვიდობის უფრო დახვეწილ გაგებათა დისკურსული ძალა (ცეცხლის შეწყვეტა, რეგიონული სტაბილიზება, სახელმწიფოს აღდგენა — მულტილატერალური სისტემის მშენებლობაზე მიუთითებს, მათ დაკავშირებას საჯარო

მსჯელობასთან [public reason], საერთაშორისო სამართალთან და ახლა უკვე გლობალურ სამართლიანობასა და მდგრადობასთან) კვლავ ახდენს ზეგავლენას ნორმატიულ, სამართლებრივ და ინსტიტუციურ დებატებზე, რომელიც, თავის მხრივ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მსოფლიოს კრიტიკულ გააზრებების შედეგად განვითარდა.

ამრიგად, მშვიდობის ლოკალურიდან გლობალურზე გადასვლის [local-to-global] არქიტექტურა ნელ-ნელა ვითარდება, რომელთა შიგნით, გასული საუკუნის განმავლობაში, მრავალი სამშვიდობო სტრატეგიის, ინსტრუმენტისა და თეორიის პოვნა შეიძლება. მას ბევრნაირი კრიტიკა ხვდა წილად და ამიტომ გარკვეული დისკურსული მგრძნობელობაც გამოიმუშავა სუბალტერნული პოლიტიკური მოთხოვნების წინაშე, თუმცა მათი პრაქტიკული განხორციელება კვლავ ძველი მიზეზებით ბრკოლდება. ეს მიზეზები, ძირითადად, დაკავშირებულია პოზიციონალობებთან, რასასთან, კლასთან, ეროვნულ ინტერესებთან, ტერიტორიულ სუვერენიტეტსა და კაპიტალთან. გარდა ამისა, მართალია, ის დროთა განმავლობაში დაიხვეწა და ძალადობის ცვალებადი ფორმების (გეოპოლიტიკური, იმპერიული, იდეოლოგიური, ეთნიკური, რესურსებზე დაფუძნებული და ა.შ.) მიმართ კომპლექსური პასუხებიც გამოიმუშავა, მისი პრაქტიკაში გატარება უფრო გაძვირდა და გაგების თვალსაზრისით, კიდევ უფრო გართულდა.

ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მშვიდობის კრიტიკული ვერსიები ყოველთვის დამოკიდებულია საერთაშორისო ურთიერთობებში ძალაუფლების უფრო ძველ პრაქტიკებზე (როგორც ეს რეალიზმის, ლიბერალიზმის, სტრუქტურალიზმის, მმართველობის [governmentality], ბიოპოლიტიკისა და სხვების შემთხვევაშია), კარგად შენიღბულ „კონტრმშვიდობის“ ძალებზე, რომლებიც დაიხვეწნენ წინსვლის ბლოკირებაში, ხელს უშლიან პროგრესს და აბუნდოვანებენ უფლებების განვრცობის განზომილებას. კრიტიკული დღის წესრიგის დაწინაურების ოპონენტები რაღაც დოზით თავად ის აქტორები, პროცესები და ქსელებია, რომლებიც მას დიდი ხნის განმავლობაში უჭერდნენ მხარს (მაგ. გლობალური პოლიტიკური ელიტები, სახელმწიფოები, საერთაშორისო სამართლის ელემენტები და მულტილატერალური აქტორები), ასევე, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური ქსელები, რომელთაგან ზოგი პირდაპირ უპირისპირდება მშვიდობის კეთების კრიტიკულ ლოგიკას, რადგან იგი ძირს უთხრის მათი ძალაუფლების საფუძველს, ხოლო ზოგიერთი მათგანი ცოცხალ მკვდრად იქცა ძალადობის ახალი სტრატეგიებისა და პოლიტიკური მოთხოვნების გაჩენის გამო. მაშასადამე, ნებისმიერი სამშვიდობო პროცესი შეიძლება მალევე თავისსავე თავს დაუპირისპირდეს და, მართლაც, ისინი ისეა შექმნილი, რომ „საჭიროების შემთხვევაში“ მათი გათიშვა შეიძლებოდეს. ეს კი, ბედის ირონიით, სწორედ მისი გამძლეობის საფუძველია (შეხედეთ თანამედროვე არასამშვიდობო პროცესებს, მაგალითად, კვიპროსში, ახლო აღმოსავლეთში, კოლუმბიაში ან კოსოვოში).

შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაეროს ახალ „მშვიდობის შენარჩუნების“ [sustaining peace] დღის წესრიგში სწორედ ასეთი ორმაგი მოძრაობაა ასახული (Polanyi [1944] 2001), ვინაიდან ის

მშვიდობის პარადოქსულ წარმოდგენაზე დგას, რომელშიც პრობლემა წამყვან ძალებსა და სისტემებთანაა დაკავშირებული და ამავდროულად ამ ძალებსა და სისტემებს უფრო მეტი უფლებებით, ვალდებულებებითა და პასუხისმგებლობებით ტვირთავს სუბალტერნულ მოთხოვნებსა და მშვიდობის ფორმირების პროცესებთან დაკავშირებით. თუმცა ეს ჰიბრიდული რეფლექსიაა, რომელიც გენდერული კრიტიკის, კაპიტალიზმის კრიტიკის, სახელმწიფოს კრიტიკის, უფლებების განვრცობის, რელაციურობის, მდგრადობის მეცნიერული იდეებისა და გარემოსდაცვითი დაკვირვებების ინტეგრირებას ახდენს უფრო ვრცელ და არც-ისე-ლიბერალურ, მაგრამ, ალბათ, პოსტლიბერალურ მშვიდობის სისტემაში (რომელიც ტრანსნაციონალურია, მრავალგანზომილებიანი, მრავალდონიანი და, ასევე, უფრო მზარდი პოლიტიკური მობილობისკენ მოძრავი). ის ასევე კვლავ მჭიდროდაა დაკავშირებული იმპერიული წესრიგისა და ინდუსტრიული გლობალური პოლიტიკური ეკონომიის ნარჩენებთან. გაეროს ეს ახალი დღის წესრიგი თავის თავში მოიცავს ძველი დებატების ექოს თანასწორობაზე [equity] (განაწილებითი და თაობათაშორისი), გლობალურ სამართლიანობასა და დეკოლონიზებაზე, ასევე, თანამედროვე მსოფლიოში, მშვიდობის მდგრადი განვითარების პოლიტიკით შთაგონებულ უფრო ფართო და გრძელვადიან პერსპექტივებს, იმის მიუხედავად, რომ ეს დღის წესრიგი ამჟამად მხოლოდ დისკურსული და დოქტრინულია, ვიდრე პრაქტიკული ან მხარდაჭერილი ძლიერი სახელმწიფოების მიერ. თუმცა იგი კარგადაა შემუშავებული და ჩაშენებულია მუდამ გაფართოებად (და მსხვრევად) საერთაშორისო მშვიდობის არქიტექტურაში და მასში თავისი პოტენციალის გამოვლენას ელის, როცა გეოპოლიტიკის, ლიბერალური ინტერნაციონალიზმისა და ნეოლიბერალური მშვიდობის მშენებლობის ძველი სისტემები გარდაუვალად არასაკმარისი აღმოჩნდება და მის საჭიროებას კონფლიქტურ საზოგადოებებში პოლიტიკური ელიტები და სოციალური მოძრაობები დაინახავენ.

უგულებელყოფილი და მოუგვარებელი კონფლიქტების რაოდენობა დღესაც იზრდება, საშინელი ადამიანური ფასით (იემენი, სირია) და უფრო მეტი გაყინული ან შეჩერებული სამშვიდობო პროცესით (ბოსნია, კოსოვო, კოლუმბია). ამას ზემოდან ემატება საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიასა და სახელმწიფოების სისტემაში არსებული სისტემური პრობლემები, რომლებიც აშკარად დაკავშირებულია მიმდინარე ომებთან. ამ გამოცდილებების საფუძველზე კი, ძალადობის მეცნიერული გაგება უაღრესად განვითარდა. მშვიდობაზე კრიტიკულმა აზროვნებამ ამ ყველაფერს პასუხი უნდა გასცეს; რაღაც მხრივ, ასეც აკეთებს, თუმცა იგი ასევე დამოკიდებულია რიგ სისტემებზე, რომლებიც მას ზღუდავენ და ძირს უთხრიან, ან პირდაპირ უპირისპირდებიან უკვე მიღწეულ წინსვლას.

ძალიან რთულია წარმოვიდგინოთ მსოფლიო, რომელშიც არაა კონფლიქტებისა და ძალადობის გამღვივებელი ჰეგემონია და უთანასწორობები. ასევე რთულია იმის მტკიცება, რომ საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის ან ლეტალური იარაღის საერთაშორისო ბაზრის მსგავსი გლობალური ძალების გარეშე, უბრალოდ, მშვიდობა დამყარდება. ეს სტატია ასეთი უტოპიური აზროვნების მხარდაჭერას არ ემსახურება. ეს თავი შთაგონებულია

კრიტიკული თეორიის საფუძველმდებარე დაშვებებით, სახელდობრ, ძალაუფლებრივი ურთიერთობების კონტექსტში კრიტიკითა და ემანსიპაციით. ყველაზე იმედისმომცემი კვლევითი დღის წესრიგი ეფუძნება ფემინისტურ და პოსტკოლონიურ აზროვნებას, სადაც აგენტობის კონცეპტუალიზებას თან ახლავს ანალიტიკა, რომელიც ააშკარავებს ძალაუფლების კონტინგენტურ სქემებს, რომლებიც, თავის მხრივ, სხვადასხვანაირად კვებავენ და ზღუდავენ ასეთ აგენტობას. ემანსიპაციის პოტენციალი კონტრეჰეგემონიული ხმების ხელშია, რომელთა მეშვეობით, ხილული უნდა გახდეს მშვიდობის პოლიტიკის, მშვიდობის ფორმირებისა და მთლიანად მშვიდობის არქიტექტურის ალტერნატიული წარმოდგენები.

ზოგიერთი იტყვის, რომ საერთაშორისო მშვიდობის მშენებელი პრაქტიკები ზუსტად ამას აკეთებს, როცა პოსტკოლონიური კონტექსტის მართვას ისახავს მიზნად, ცდილობენ, როგორღაც გარდაქმნან მმართველობის წესი, სოციალური წესრიგი იძულებითი ან წამახალისებელი ეკონომიკური ზომებით შეცვალონ და სამიზნე ჯგუფებს ლიბერალური ინსტიტუტები და დისკურსები, ნეოლიბერალური ეკონომიკები შეასწავლონ. თუმცა ზუსტად ასეთ მართვის პრაქტიკებში შეგვიძლია შევამჩნიოთ კონტრდისკურსების გაჩენა, მათ შორის, განაწილებით და გარდამავალ სამართალთან დაკავშირებული და რეინტეგრაციის ალტერნატიული წარმოდგენები. შემოთავაზებული „მშვიდობის პოლიტიკის“ საფუძველმდებარე ელემენტია იმის ცნობა, რომ პოსტკონფლიქტური კონტექსტი, უბრალოდ, ტექნოკრატიული გამოწვევა არაა, არამედ, უმეტესწილად, პაექრობისა და დელიბერაციის პოლიტიკური კონტექსტია. თუკი მშვიდობის მშენებლობა და სახელმწიფოს მშენებლობა დისკურსებისა და პრაქტიკების წყება იყო, რომლებიც ტექნოკრატიული რაციონალობით წარიმართებოდა, **აქ განხილული მშვიდობის პოლიტიკა წარმოადგენს ალტერნატივას, რომელიც ფოკუსირებული იქნება კონფლიქტის მოგვარებასა და მათ პოტენციურად აგენტობის მქონე პოლიტიკის სუბიექტებად ცნობაზე, ვისაც კონფლიქტი უშუალოდ ეხება.**

ამავდროულად, ჩვენ მხარს ვუჭერთ ემანსიპატორულ დღის წესრიგს, რომელიც მხედველობაში იღებს კონფლიქტის ღრმა გადაჯაჭვულობას უფრო ფართო გლობალურ პოლიტიკურ პროცესებთან, რომელთაც შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ან შეუშალონ ამ დღის წესრიგს. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი ხელისშემშლელი ან საერთოდ ძირგამომთხრელი ზეგავლენა ჰქონდა ბოლო ინტერვენციებს, რომლებმაც გამოიწვიეს ძალადობის ესკალაცია ან, საუკეთესო შემთხვევაში, ცდილობდნენ სხვაგან დაწერილი წესების შესაბამისად მოსახლეობის მართვას. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ კრიზისები საზიაროა და გლობალური ზეგავლენა აქვთ იმ სივრცეებზეც, რომლებიც ძალიანაა დაშორებული ძალადობრივ კონფლიქტთა უშუალო კონტექსტებს. უნდა ვაღიაროთ, რომ აქ წარმოდგენილი დღის წესრიგი, ძირითადად, მხოლოდ მონახაზია; მისი მიზანი მშვიდობისა და კონფლიქტის კვლევებში ახალი მიმართულების შექმნაა, რომელიც კრიტიკული თეორიის სულისკვეთებიდან ამოიზრდება და ეთიკური და პოლიტიკური კუთხით შეეცდება, **შეისწავლოს მშვიდობის პოლიტიკის კავშირი უთანასწორობასთან, ისტორიულ და განაწილებით სამართლიანობასთან, ასევე აღიარებასა და მდგრადობასთან და როგორ**

უკავშირდება ეს ყველაფერი მიმდინარე ბრძოლებს, მათ შორის, პოსტკოლონიურ, ფემინისტურ და ინტერსექციულ პოლიტიკათა ბრძოლებს, ასევე გარემოს დაცვით და კლიმატის აქტივიზმს. კრიზისში მყოფი მსოფლიოსთვის ჩვენ ახალ „მშვიდობის დღის წესრიგს“ ვეძებთ.